## ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2022 | 31/12/2021 | 31/12/2020 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 10096 | 13010 | 112731 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 0 | 35980 | 73932 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 60183 | 0 | 67707 |
| მარაგები | 17343 | 338106 | 210204 |
| მზა პროდუქცია | 17343 | 3400 | 0 |
| სხვა | 0 | 334706 | 210204 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 284655 | 285598 | 172246 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| ძირითადი საშუალებები | 2061489 | 2296036 | 2212128 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 0 | 0 | 0 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 2433766 | 2968730 | 2848948 |
| **ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 0 | 0 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| ანარიცხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 84076 | 201544 | 105216 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 0 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 301207 | 520384 | 746265 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 0 | 518 | 3461 |
| სულ ვალდებულებები | 385283 | 722446 | 854942 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევა | 3149237 | 2989131 | 2432776 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | -1100754 | -742847 | -438770 |
| გადაფასების რეზერვი | 0 | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 2048483 | 2246284 | 1994006 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 2433766 | 2968730 | 2848948 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 57952 | 672696 | 570241 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |

## საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 167660 | 283860 |
| საქონლის გაყიდვიდან | 167660 | 283860 |
| მომსახურების გაწევიდან | 0 | 0 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | -88397 | -219270 |
| საწყისი მარაგები | 0 | 0 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანასარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 79263 | 64590 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 0 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -121796 | -87700 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -138331 | -117075 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი | -62583 | -93751 |
| იჯარის ხარჯი | 0 | 0 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -76124 | -60202 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -398834 | -358728 |
| საოპერაციო მოგება | -319571 | -294138 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავა | 0 | 0 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | 0 | 6624 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებ | -319571 | -287514 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 0 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | -319571 | -287514 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასებ | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონებ | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | -319571 | -287514 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 2246284 | 1994006 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერა | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 121770 | 539792 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 2048483 | 2246284 |

## ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გა | 0 | 99721 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობა | 0 | -199442 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამო | 0 | 0 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | 0 | -99721 |
| ვალუტის  კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვი | 0 | 0 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დ | 13010 | 112731 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბ | 0 | 13010 |

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

**შპს სინენსის, ს/ნ: 406229709**
საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას;ძირითადი საქმიანობაა მტკნარი სასმელი წყლის წარმოება, საწარმოს ფაქტიური მისამართია მცხეთის რ-ნი, სოფ. პატარა ქანდა

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება
ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: 1. საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; 2. მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და 3. შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

3.2 სავაჭრო მოთხოვნები; სავაჭრო ვალდებულებები;
სავაჭრო მოთხოვნები; მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით. გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები: მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

**3.3 ძირითადი საშუალებები;** ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

3.5. მარაგი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

3.6 იჯარა; იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

3.7 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები; დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი;

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.8 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში
უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

3.9.. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი; საწარმოში მოგების გადასახადის ხარჯად აღიარდება განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შპს სინენსის, ს/ნ: 406229709-ის ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2023 წლის 29 სექტემბერს

მთავარი ბუღალტერი: ნ. აფციაური

დირექტორი: